თვითმმართველი ქალაქი

თელავის მუნიციპალიტეტის

მერია

CITY HALL OF MUNICIPALITY
OF SELF-GOVERNING
CITY TELAVI

№697

„10" ივნისი 2016 წ.

შ.პ.ს საგზაო სამშენებლო სარემონტო
კომპანია „სერპანტინი"-ს დირექტორს
ბატონ ზურაბ ფეიქრიშვილს

ბატონო ზურაბ,

ქ.თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია თქვენი 2016 წლის 09 ივნისის №09/06-2 წერილი (რეგისტრაციის №1392), რომლითაც ითხოვთ თქვენსა და ქ. თელავის მერიას შორის 2016 წლის 15 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0311/452, 16 მარტს გაფორმებული №0312/452 და №0313/452 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადების გაგრძელებას.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №0311/452, №0312/452 და N0313/452 ხელშეკრულებების 14.2 პუნქტის შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების მიწოდების ვადაა 2016 წლის 10 ივნისის ჩათვლით.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების №0311/452 , №0312/452 და N0313/452-ით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადების კორექტირებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის მაისის და ივნისის თვეში მოსული ხშირი ნალექების (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2016 წლის 09 ივნისის №12/1-513 წერილი შ.პ.ს. საგზაო სამშენებლო კომპანია "სერპანტინი"-ს დირექტორს) გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩვენს შორის გაფორმებული №0311/452 , №0312/452 და N0313/452-ით ხელშეკრულებების მე-14 მუხლის 14.2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადები გაგრძელდეს მიმდინარე წლის 17 ივნისის ჩათვლით.

პატივისცემით,

თვითმმართველი ქალაქი
თელავის მუნიციპალიტეტის
მერი

პლატონ კალმახელიძე

საქართველო, ქ. თელავი, 2200 ერეკლე II-ის გამზ. №16, ტელ: (0350)272300; ფაქსი:(0350)271228;
ელ. ფოსტა:telavi.meria@gmail.com

შეთანხმება

SPA160005531

ქ. თელავი

10 ივნისი 2016 წ.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის პლატონ კალმახელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი", მისი დირექტორის ზურაბ ფეიქრიშვილის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტსა და შპს საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინ"-ს შორის 16.03.2016 წ. დადებული ხელშეკრულება №0312/452-ის მე-11 მუხლის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-14 მუხლი ჩამოყალობდეს შემდეგი რედაქციით:

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 17ივლისამდე.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადაა 2016 წლის 17 ივნისის ჩათვლით.

ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 16 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი	შპს საგზაო-სამშენებლო- სარემონტო კომპანია „სერპანტინი"
მერი	დირექტორი
პლატონ კალმახელიძე	ზურაბ ფეიქრიშვილი
_____	_____